ჩემი საქართველო



№73, მაისი, 2021

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეროობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწაფვიან!

ღმერთმა დალოცოს საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი–ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

saqarTvelo-ukrainis socialur urTierTobaTa institutis saerTaSoriso saganmanaTleblo akreditacia

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტმა, დიდი ხანია, დაიმკვიდრა საკუთარი ხელწერის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, მას როგორც არაფორმალური პროფესიული განათლების ფლაგმანს, არამარტო საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულში, არამედ საზღვარგარეთის მთელ რიგ სახელმწიფოებშიც აქვს თავისი წარმომადგენლობები, პროფესიული დაოსტატებისთვის იმიტირებული სწავლება, ჩვენთვის ძირითადი მიმართულებების თავფურცელია! სწორედ ამიტომაა სრულ პრაქტიკულ საქმიანობასთან შერწყმული მცირე აუდიტორული სწავლება, სწავლება, რომელიც ხალისით მიმდინარეობს არჩეული სპეციალობის სიზუსტით, ჩვენი სასწავლო ცნეტრების სტუდენტებისათვის არც თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებაა უცხო და არც სამეცნიერო კონფერენციების ჩვეული სტანდარტებით წარმართვა... გვაქვს მიღწევები მხატვრული თვითშემოქმედებისა და სპორტის სახეობებში, მაგრამ ყველაზე მთავარი, საერთაშორისო აღიარებაა, 2012 წელს, ჯერ კიდევ ახალბედა სასწავლებელი „EUCEN”-ის საერთაშორისო ევრო-აკრედიტაციის მფლობელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შემდეგი, მსოფლიო ინტერნაციონალური კომიტეტის წევრობაა, დიახ, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი დღემდე ერთადერთი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც ამ კომიტეტის სრულფასოვანი წევრია და ახლა... ბელგია! “IEAC“ – საერთაშორისო-საგანმანათლებლო-საკრედიტაციო კომიტეტის აკრედიტაცია!

ეს ჩვენი ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსიყვარულის სინდრომით პროფესიონალიზმის ზენიტია!

რუსთავი სტუდენტთა ოცდამეხუთე სამეცნიერო კონფერენცია!

ამ დღეებში, განსაკუთრებული ხალისი და მეცნიერებებისადმი გაღრმავებული ცოდნის დაუფლების სურვილი იგრძნობა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრებში. ეს სამზადისია! სამზადისი, სტუდენტთა ოცდამეხუთე სამეცნიერო კონფერენციისათვის! მსოფლიოში შექმნილმა პანდემიურმა სიტუაციებმა, არც ჩვენს ქვეყანას აუარა გვერდი, ამიტომაც ბევრი რამის გადაფასება, ძველის ახლით ჩანაცვლება და იმ ახლის შეჩვევა მოგვიწია, რასაც უმეტესობა ვერც წარმოვიდგენდით! ამ ფონზე, როცა ერთი წელი თითქმის, დისტანციურად ვურთიერთობდით და წინა სამეცნიერო კონფერენცია ფაქტიურად არ შემდგარა, ამ კონფერენციის წარმართვაში, დიდი ვნებათაღელვა და ინტერესია, ქ. რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით მოამზადეს თემები სტუდენტებმა: რაქსანა ახმედოვამ, ალექსანდრე მოსიაშვილმა, მუსა ზეინალოვმა, ლალი კილაძემ, სუსანა მამედოვამ, ვალერია ლეკიაშვილმა, ნათია ოსიაშვილმა, ელჯან გაჯიევმა, ნიშანა მუსტაფაევამ, ალინა მამედოვამ, ირინა მაკარიჩიევა, არზუ თოფჩიევამ, ფიდან კარიმოვამ, ნურალა ორუჯავამ, ნაირა კასუმოვამ, გიუნელ ისმაილოვამ, რუსლან კიარიმოვმა, ლუკა კილაძემ, არზუ თოფჩიევამ, ნათია მათეოსიანმა, აიდა ასტანოვამ, აისუნ მუსაევამ, აისუნ მირზაევამ, ავა ბადალოვამ, აიგუნ ბაირამოვამ, ვერიკო კუპრეიშვილმა, იზა ბაინდურაშვილმა, ანა შარიქაძემ, ლამან გულიევამ.

პედაგოგების: ზ. ქსოვრელის, ზ. ლამაზოშვილის, მ. ჩხაიძის, თ. ხაბურზანიას, ს. ცალანის, მ. ლომიძის, ნ. კახოშვილის, თ. ბაზაძის, თ. ჯაფაროვის ხელმძღვანელობით, წინ ოცდამეხუთე სამეცნიერო კონფერენციაა, რომლის გამარჯვებულებიც ერთმანეთს ოცდამეექვსე სტუდენტური კონფერენციის ფარგლებში შეხვდებიან!



აკადემიურ ქალაქს მთავრობის წარმომადგენლობითი დელეგაცია სტუმრობდა

ამ დღეებში საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტს და ქ.რუსთავის აკადემიურ ქალაქს, ა(ა)იპ – „კოლორიტი 1991“-ის ფარგლებში, ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრების საქმიანობის განზოგადებისა და საკითხების ადგილზე გაცნობის მიზნით, სამთავრობო დელეგაცია ესტუმრა: – საქართველოს პარლამენტის წევრს, რუსთავისა და გარდაბნის მაჟორიტარ დეპუტატს ნინო ლაცაბიძეს, საქართველოს პარლამენტის წევრს, ბავშვთა უფლებების დაცვის საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარეს ანა ბუჩუკურს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს თამარ ბარკალაიას, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დირექტორს მერი მაღლაფერიძეს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, მოკლე, მაგრამ საქმიანი შეხვედრის დროს, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, დეტალურად მოახსენა სამუშაო სპეციფიკა და მომავლის პერსპექტივები, თავის მხრივ, მოსულმა სტუმრებმა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება აღუთქვეს მასპინძელს საქმიანობის განვითარებისათვის, დაათვალიერეს აკადემიური ქალაქი, შეხვდნენ ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარებს, სათემო ორგანიზაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მოხუცთა სახლის ხანდაზმულებს და აღნიშნეს, რომ ასეთი სახის, საქმიანობის გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, პრევენციის მიზნით, დროული და საშური საქმეა.

ჭიათურა აუდიტორიებს დავუბრუნდით

მაშინ, როცა მსოფლიო პანდემიამ მოიცვა, ჩვენი ქვეყანაც ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. დაიკეტა ქალაქები და დაცარიელდა ქუჩები, შეჩერდა სწავლების პროცესი, პანიკამ და ნერვიულობამ მოიცვა თითოეული მოქალაქე. აღმოვჩნდით კარანტინში, სრულიად მოულოდნელად და იზოლირებულად.

ცოტათი შემაშფოთებელი იყო სწავლის ახალი მეთოდი, რომელიც მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა, სოციალური დისტანცირება... ნამდვილად რთული იყო ახალ რუტინაზე გადასვლა. ახალი მითითებები მოგვცა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, რომ ჩვენი ინსტიტუტის სასწავლო პროცესიც დისტანციურად წარმართულიყო.

ონლაინ სწავლება ყველაზე ეფექტური გამოსავალი გამოდგა პანდემიის დროს, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდა, როგორც სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა, ასევე საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა. ასე ავუწყვეთ ფეხი ახალ გამოწვევას.

ნელ-ნელა დაიხია უკან ვირუსმა, დავუბრუნდით აუდიტორიებს, სიტუაციიდან გამომდინარე სალექციო კურსი ყველა რეგულაციის დაცვით ტარდება. ხალისით და ახალი ენერგიით განვაახლეთ სასწავლო პროცესი ქალაქ ჭიათურის არაფორმალური პროფესიული განათლებოს სასწავლო ცენტრში მოსწავლე-პედაგოგებმა ერთმანეთზე და სწავლის პროცესზე ორიენტირებულებმა. დამეთანხმებით, რომ ცოცხალი ურთიერთობები, პირდაპირი კონტაქტი მასწავლებელთან რაოდენ ფუფუნებაა და ძნელად ჩანაცვლდება ონლაინ სწავლებით.

მალე გაზაფხული შემოვა ჩვენს ქალაქში, ახალი ფერებით, იმედებით და რწმენით სავსე.

ნათია ლომიძე

ქ. ჭიათურის სასწავლო ცენტრის პედაგოგი

ის ჩვენი კურსდამთავრებულია

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369

ფლორენცია

საუბრობ - ყველა მიღწევაზე მაღლა!

ჩემს ელექტრონულ ფოსტაში, ნაცნობი სახელისა და გვარის გამოჩენისთანავე, ინფორმაციის გახსნას შევუდექი... მერე ისიც გამახსენდა წლების წინ როგორ ვთანამშრომლობდით ერთად რესპუბლიკურ პრესაში მე და ნათია, ნია კი... რუსთავში იმხანად ჩემს მიერ ახლადგახსნილ უნივერსიტეტ „ გაენათში“ მუშაობდა“... მერე, კრიალოსნებივით ჩამოიმარცვლა წლები და დღეს დები ნათია და ნია ზაზაშვილები ,პირველი ქართველი ქალები არიან , რომლებიც ფლორენციაში იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საემიგრაციო განყოფილებაშია დასაქმებულნი.

ნია ზაზაშვილი პროფესით იურისტია, საუბრობს 5 ენაზე. ევროპის მიგრაციის სერთიფიცირებული ექსპერტი, მუშაობს ხარისხზე: – „მიგრაცია და საერთაშორისო უფლებები“.

უფროს დას, ნათია ზაზაშვილს კი რამდენიმე პროფესია აქვს და ერთდროულად სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს. პედაგოგი, ბავშვის ფსიქოლოგი, ჟურნალისტი, მწერალი, პოეტი საუბრობს 5 ენაზე ამჟამადაც სწავლობს საერთაშორისო თანამედროვე ჟურნალისტიკის მენეჯმენტის ფაკულტეტზე და პერიოდულად აქვეყნებს სტატიებს იტალიურ და ინგლისურ ენაზე. მან საქართველოში მიღებული განათლების აღიარება მოახერხა ევროპული სტანდარტებით. პედაგოგიკა ფსიქლოგიის განხრით 5 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. გამოცემული აქვს ლექსების კრებული როგორც ქართულ ასევე იტალიურ ენაზე. მის ლექსებზე შექმნილია რამოდენიმესიმღერა.

დებმა ნათია და ნია ზაზაშვილებმა 2011 წელს დააფუძნეს ქართულ-იტალიური ასოციაცია, „ჟალეთი“, ასევე პირველი საკვირაო სკოლა დააარსეს სრულიად იტალიის ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ ასოციაცია „ჟალეთს“ ასობით პროექტი აქვს განხორციელებული ევროპაში. ცნობილი გახდა მათი ქველმოქმედებაც პანდემიის მძიმე პერიოდში თანამემამულეების მიმართ.

მალე დები, სამშობლოს ეწვევიან მოკლევადიანი ვიზიტით. სამშობლოს, რომელიც მათთვის ყველა მიღწევაზე მაღლა დგას!

იბეჭდება პირველად!

დღემდე უცნობი ფაქტები

ძველ ფასეულობათა გადაფასებას, ბევრი ისტორიული პიროვნება შეეწირა, რომლებიც სამუდამოდ თუ დროებით მაინც, გაქრნენ რეალობის თვალსაწიერიდან, თუმცა ახლა იმ ქართველი კლასიკოსის შესახებ მინდა მოგითხროთ, რომელსაც დროთა დინება მხოლოდ და მხოლოდ შარავანდედს ჰმატებს, ეს გალაკტიონია, მე მას არ მოვსწრებივარ, თუმცა ბევრი მსმენია მასზე და ვმეგობრობდი კიდეც ამ ბუმბერაზი კაცის, ბუმბერაზ ძმისშვილთან ნოდარ ტაბიძესთან, მახსოვს, სწორედ მისი სურვილის თანხვედრად, ამ ოციოდე წლის წინ, როგორ დამამტკიცეს საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა კავშირის თავმჯდომარედ, მაშინ მე და თბილისის კოლორიტი, ჭეშმარიტი რაინდი და უდიდესი პიროვნება, მსოფლიო და გინესის რეკორდსმენი ჯუმბერ ლეჟავა, ბატონ ნოდართან სტუმრობისას, გალაკტიონის უამრავ უცნობ დეტალს ვაანალიზებდით... დიახ, პოეტის ბრწყინვალე რითმების წყობასა და მის ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა... მას შემდეგ კრიალოსნებივით ჩამოიმარცვლა წლები... მე თბილისიდან-რუსთავში გადავედი აკადემიური ქალაქის ხელმძღვანელად და სწორედ აქ, დაიწყო ამ წერილის შესავლის ისტორია, მაშინ, ამ ოთხიოდე წლის წინ, როდესაც ჩემთან კაბინეტში, რუსთავის კოლორიტი, განსაკუთრებული ხიბლისა და კრეატიული ნიჭის მქონე ქალბატონი მზია ანთიძე მესტუმრა სამსახურეობრივი დანიშნულებით და დავიწყეთ კიდეც თანამშრომლობა, ასე გაგრძელდა წლები, მერე ურთიერთს გავუშინაურდით... როგორც საერთოდ ხდება ხოლმე დროის ფაქტორის გონივრული გამოყენებით და ერთ დღეს, როდესაც ჩემს რეზიუმეში, გალაკტიონის ლიტერატორთა კავშირის თავმჯდომარეობის შესახებ ინფორმაცია ამოიკითხა, პირდაპირ მითხრა:

– „იცი?! მე გალაკტიონს პირადად ვიცნობდი! უფრო მეტიც...“

– როგორ? ბოლო ორმა სიტყვამ განსაკუთრებით დამაინტერესა და...

გასული საუკუნის 50-იანი წლებია, მაშინ მზია 12-13 წლის იყო, რუსთაველზე ბიძაშვილთან ერთად სეირნობისას გალაკტიონს რომ გაეცნო. ბიძაშვილი კი იმხანად მთელი თბილისისათვის და არა მარტო, კარგად ნაცნობი პიროვნება აწ განსვენებული მამია ბროკიშვილი გახლდათ, ეს ის მამიაა, რომელიც დღისით-მზისით, დედაქალაქის ცენტრში ლენინის მოედანზე, ლენინის ძეგლს ამწეკალათით, რომ მიადგა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადთან სურათებს იღებდა, უფრო მეტიც, პოზიორობდა... მოგეხსენებათ, საბჭოთა წლებში ეს ამბავი... ამიტომაც უამრავი ტყუილ-მართალის ადრესატი გახდა და რესპუბლიკის ფარგლებსაც გასცდა ლეგენდარული მამიას ამბავი... ჰოდა მასთან ერთად სეირნობისას გაეცნო გალაკტიონს, მზიას სიკოხტავით მოხიბლულმა გენიოსმა პოეტმა გამომცემლობა „მერანის“ მეორე სართულიდან ვარდების მთელი გროვა გადმოაფრქვია გოგონას და იმავე საღამოს გალაკტიონის უბის წიგნაკში, მისი ერთ-ერთი პოპულარული ლექსი, „ცამეტი წლის ხარ“... დაიბადა...

ქალბატონი მზია რუსთავის მკვიდრია, თავისი ერუდიციით, ყოველთვის ხელმძღვანელ თანამდეობაზე მსახურობდა და რუსთავის მაჯისცემაზე ედო ხელი, მან დაბადებიდანვე გაითავისა და შეიყვარა ეს ქალაქი, როგორც აქაური კადრების მუშის შვილმა, ოჯახი არ შეუქმნია! – მთელი რუსთავი ჩემი ოჯახიაო, ხუმრობს, თუმცა მართლაც ყველას მოსიყვარულე და ქომაგია, ამიტომაც უბრუნდება ბუმერანგივით თანამოქალაქეთა ეს სიყვარული და ერთგულება, იგი დღეს საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად განხორციელებული პროექტის, ნიჭიერ ბავშვთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტია და ძალზე მოკრძალებულად, მაგრამ ძალზე საინტერესო და მიმზიდველი ცხოვრებით წარსულის გადასახედითა და მომავლის იმედით სუნთქავს... ეს სუნთქვა კი, დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა გაგრძელდეს...

ქუთაისი

მრავალფეროვანი თემაჯიკა

ამ დღეებში, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. ქუთაისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის სტუდენტები, კულტურული მარშუტით მსვლელობის ქვეპროგრამით ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს სტუმრობდნენ, თავისუფალ ლექციათა კურსს, რომელმაც შემდეგ, გალერია „ვალაში“ გადაინაცვლა, ლექტორი მარინე სულაქველიძე უძღვებოდა... სტუდენტი-ახალგაზრდობა მოიხიბლა ნანახით, მათ კითხვა-პასუხის რეჟიმში გამოავლინეს ცოდნის მაღალი დონე და ერუდიცია.

– „სულ მალე ოტია იოსელიანის სახლს-მუზეუმს ვესტუმრებით, ამ დღისთვის, სტუდენტებიცა და პედაგოგებიც განსაკუთრებულად ვემზადებით, რამეთუ, დიდი ოტიას გენიალობის ერთ საჯარო ლექციაში ჩატევა, შეუძლებელია, ამიტომაც წინასწარ ვეცნობით მის შემოქმედებას და ღვაწლს“- აღნიშნა ინსტიტუტის ქ.ქუთაისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა მაყვალა ქობულაძემ.

თერჯოლა

ოხ, ეს პანდემია!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განათლების ღირებულებებს საქართველოში ყოველთვის მაღალი პრიორიტეტი ჰქონდა. ჩვენ გენში გვიზის ცოდნის დუფლებისაკენ სწრაფვა. სწორედაც განწყობა და სურვილი განათლების მიღებისა არის ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის მნიშვნელოვანი პირობა.

უკვე მეშვიდე წელია თერჯოლის სასწავლო ცენტრი იმ დიდი და საერთო ოჯახის წევრია, რომელსაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი ჰქვია. დიახ, 2014 წლის პირველ ოქტომბერს დაირეკა თერჯოლაში სტუდენტური ცხოვრების დაწყების მაუწყებელი საზეიმო ზარი. მაშინ პირველი კურსის სამ სპეციალობაზე (ბაგა-ბაღის აღმზრდელი, ბანკის ოპერატორი და დაცვა-პატრულირება) მივიღეთ სტუდენტები, მას შემდეგ ექვსი სასწავლო წელი გავიდა... ნელ-ნელა ავიდგით ფეხი, თანდათან გავძლიერდით, მაგრამ პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიურმა თუ მძიმე სოციალურმა ფონმა ჩვენთანაც შემოაღწია. არ მინდა ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ნამდვილად საინტერესო და საოცნებო სასწავლო-შემოქმედებით კერად იქცა, სულ ექვსი წლის ისტორიის მქონე, თერჯოლის სასწავლო ცენტრი. მიხარია, რომ სტუდენტებს ჩვენთან მოუხარიათ. აქ მათ უაღრესად კეთილგანწყობილი ლექტორ-მასწავლებლები და სასწავლო გარემო ხვდებათ, ვცდილობთ, რომ სტუდენტები ცხოვრობდნენ საინტერესო სტუდენტური ცხოვრებით, იმედი გვაქვს და გვჯერა, რომ პანდემია დასრულდება, ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგება, ხოლო თერჯოლის სასწავლო ცენტრი კვლავაც სტუდენტმრავალი კერა გახდება. ყველას ერთად კი მომავალი წარმატებებისა და გამარჯვებების იმედი გვაქვს.

2017 წელს პირველი კურსდამთავრებულები გავუშვით, ყოველწლიურად საზეიმოდ ვაცილებთ და გზას ვულოცავთ მათ, ძალიან კარგი ახალგაზრდები არიან და მე დღეს ვარ ამაყი, რომ ჩვენი კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი დასაქმებულია.

დღიდან დაარსებისა, თერჯოლის სასწავლო ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებშიც მონაწილეობა ძალზედ საპატიოა. ყოველწლიურად გვყავდა ჩვენი გამარჯვებულები, რომლებმაც ღირსეულად წარმოაჩინეს ჩვენი, არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი, სტუდენტთა უკვე რესპუბლიკურ კონფერენციებზე.

ეთერ ტურავა
ქ. თერჯოლის სასწავლო ცენტრის
განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

„EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევრო აკრედიტაციის (ამერიკა) მფლობელი,
„IEAC“ საერთაშორისო-საგანმანათლებლო-სააკრედიტაციო კომიტეტის (ბელგია) მიერ აკრედიტირებული,
მსოფლიო ინტერნაციონალური კომიტეტის წევრი
საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები
აცხადებს მიღებას
IX და XII კლასდამთავრებულთათვის,
ასევე მიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები
სწავლისაგან მოუწყვეტლად
არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით
ეს ოქვენ სტუდენტი ოქვენები
✓ კომპიუტერული ტექნოლოგიები
✓ დაცვა-პატრულირება
✓ ბანკის ოპერატორი
✓ ფარმაცევტის თანაშემწე
✓ ბაგა-ბაღის აღმზრდელი
✓ კორესპონდენტი
✓ გიდი, ტურიზმი
მისამართი:
ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7
ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი)
ქ. ანაკლია, რუსთაველის ქუჩა №143ა
ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №141
ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №29
ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №36
ქ. დმანისი, 9 აპრილის ჩიხი №25
ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის ქუჩა №58
ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №6
ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქუჩა №2
ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71
უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი - საქართველო
კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან დიპლომს!